დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260237**

თარიღი:**23/01/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა) აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 18 დეკემბრის N 108-1082535290 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში მდებარე მიწის ნაკვეთი, 209 კვ.მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა N1 (საკადასტრო კოდი: 82.05.44.458), აღნაგობის ფორმით, 99 წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას (ს.ნ. 204395537), ეკლესიის დამხმარე ნაგებობის მოწყობის მიზნით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი